# საქართველო

# ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება N 40 65

21/08/2017

**ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების**

**ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

**მუხლი1.** დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების თანდართული ნუსხა დანართის შესაბამისად.

**მუხლი2.** ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ივლისის N40/81 განკარგულება.

**მუხლი 3**. განკარგულების მიღების შესახებ ეცნობოს ხონის საოლქო საარჩევნო კომისიას

**მუხლი4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.სამტრედია,ძმები ნინუების ქ.N1)

**მუხლი5.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე